**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 • საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გამგეობა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ სთხოვს პატივისცემელთ განსვენებულის კნ. ელენე დიმიტრის ასულის ლორთქიფანიძისას მობრძანდნენ კვირას, 16 დეკემბერს, დილის 12 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში, სადაც გარდახდილ იქმნება პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად. (2—1)

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 18 დეკემბერს, ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

**პატარა კახი**

ისტორიული დრამა 5 მოქ. ლექსად. თხზ. აკაკი წერეთლისა.

კახის როლს ითამაშებს ბ-ნი ხუციშვილი.

მოთამაშენი: ქქ-ნი ავალიშვილისა, ტატიშვილისა, ტარიელოვისა; ბ ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, განდელაკი, შათიროვი და სხვ.

იხატება ახალი დეკორაციები. ტანთსაცმელი ახალი.

დასაწყისი 8 საათზე

ანონსი: მზადდება ახალი პიესები: „დამარცხებულნი“—ვ. უმიკაშვილისა და „ბორკილი“—ა. სუმბათაშვილისა.

### † ნიკიტა იოსების-ძე ემინი

მოსკოვიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ 13 დეკემბერს იქ გარდაცვლილა მოხუცებული სწავლული და მეცნიერი, სახელოვანი მეისტორიე სომხეთისა ნიკიტა იოსების-ძე ემინი. განსვენებულს დიდი ღვაწლი მიუძღვის სომხეთის ისტორიისა და მწერლობის წინაშე და მის სამეცნიერო მოღვაწეობას დიდს პატივსა სცემდა საზოგადოდ ყველა მკვლევარი და მაძიებელი აღმოსავლეთის ერთა წარსულის ცხოვრებისა. 55 წლის განმავლობაში განსვენებული დაუღალავად და გამუდმებით ილვწოდა სამეცნიერო და საპედაგოგიო ასპარეზზედ. სახელი მისი, როგორც მეცნიერისა და ფრთხილის მკვლევარისა, დიდი იყო ყველა ორიენტალისტ შორის, არა თუ რუსეთში, არამედ ევროპაშიაც. ამ ოთხის წლის წინად, სახელდობრ 17 აპრილს, 1886 წელს, დიდის ამბით იქმნა გარდახდილი მოსკოვში 50 წლის იუბილეი მისის სამეცნიერო მოღვაწეობისა.

ნიკიტა იოსების-ძე ემინი დაიბადა სპარსეთში, სახელდობრ, ისპაანს ახლო სოფელს ჯულფაში. 9 წლისა მამამ წაიყვანა ინდოეთს და კალკუტის ქალაქში მიაბარა იქაურს სომხთ კათოლიკეთ აკადემიაში. ემინი იქ დიდხანს არ დარჩა და შეედების ხომალდით, დიდის ხნის მოგზაურობის შემდეგ, მოუარა-რა აფრიკასა, გამოიარა ევროპა და მოვიდა სტოკჰოლმს. აქედამ მოვიდა მოსკოვს და მიღებულ იქმნა ლაზარევის აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტში. აქ დაასრულა სწავლა და გადავიდა მერე უნივერსიტეტში.

პირველი ნაშრომი ემინისა ის იყო, რომ გადათარგმნა რუსულად ვილმენის „შუა საუკუნეთა ისტორია“. ამ შრომას მოჰყვა ზედი-ზედ მისი თხზულებანი სომხეთის ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ და თარგმანები რუსულად სომხეთის შესანიშნავ მეისტორიეთა ნაწერებისა. ემინმა თავისს სიცოცხლეში 34-ზე მეტის სახელწოდების წიგნი დაბეჭდა. მათ შორის უფრო ბევრი მისი საკუთარი გამოკვლევა იყო, დანარჩენი ან რუსული თარგმანი იყო სომხეთის საისტორიო ნაწერებისა, მასის შენიშვნებითა და სხოლიოებით, ან კიდევ თვით სომხური ტექსტი სომხეთის მწერლებისა, მის მიერ პირველად დაბეჭდილი.

ამ სახით განსვენებულის ღვაწლი ძვირფასია საზოგადოდ მეცნიერებისათვის და საკუთრად—სომხეთის ისტორიისა და ლიტერატურისათვის. საუკუნოდ იყოს ხსენება მეცნიერების მხნე და ერთგულის მუშაკისა!

გ. გ.

## ახალი ამბავი

*** ხარფუხელები კვლავ შემოგვჩივიან თავიანთს უბედურს მდგომარეობას. ტფილისის ამ უბანში არც ქვაფენილია დაგებული, არც ფარნები სდგას და არც დაოლროჩოლროვებულს ქუჩებსა ჰყავს პატრონი და ყურის მგდებელი. ისე მოუწყობელია ეს უბანი, რომ ექიმები არა თანახმდებიან ავადმყოფთან მისვლას: შორს არის, ბევრი დრო გვეკარგება წასვლა-მოსვლაშიო. მაგალითებრ, ამ ქამად ხარფუხში ავად არის თერძის გ. ოს—ის სახლობა, ამ ოჯახის შვიდნივე სულნი ლოგინად არიან ჩავარდნილი და მომვლელი, კარების გამღები ადამიანი-კი არავინა ჰყავთ. ეს თხუთმეტი დღეა არც ექიმი უნახავს ამათ თვალს და არც მეზობელი ვინმე. ნაცნობნი და უცნობნი ერიდებიან, სახადიაო და ერთს ვერსზედ გარბიან. ამას გარდა ამ მიყრუებულს უბანში, განსაკუთრებით სურბ-სარქისის ეკკლესიის ზემოდ, ისე კანტი კუნტად და იშვიათად შეჰხვდებით პოლიციელს, რომ ასეთს დგომას და თვალ-ყურის ჭერას სულ დაუდგომლობა სჯობია. საკვირველია, ყოველს ამას რატომ არ მიაქცევს ყურადღებას ქალაქის გამგეობა და რატომ არას იზრუნებს იმდენის მკვიდრისათვის?!

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა ერთი კარგი რამ შემოიღო პოლიციელებისათვის. ეს საქმე ის არის, რომ ყოველს მათგანს გამოუწერა წამოსასხამი, რომელიც ავდარში ფრიად კარგი სახმარებელია და რომელსაც ძნელად გაატანს წვიმა და თოვლი. ეს წამოსასხამი თავზედაც აფარიათ და ქამრამდე სწვდებათ. წამოსასხამის ფული, კაცის თავზე რვა მანათი თუ თუმანი, ყველა პოლიციელს ჯამაგირიდგან გამოერიცხათ. დიაღ, კარგი რამ მოიგონა, მაგრამ ამ წამოსასხამებს ერთი ნაკლი აქვს. ეს ნაკლი ის არის, რომ წამოსასხამი ქამრამდე ძლივსა სწვდებათ და კალთები სულ ერთიანად უსველდებათ. დიდის სიამოვნებით გადაიხდიდნენ თვით პოლიციელებივე ორიოდ-სამიოდე მანათს მეტს, რომ ასეთი წამოსასხამები ფეხებამდე ჰფარავდეთ, და მართლა კარგად იცავდეს ავდრისა და ცუდის ტაროსისაგან.

*** ტფილისის საოპერეტო დასი კიდევ რვა-ათიოდე წარმოდგენას გაჰმართავს ტფილისში და მერე ბაქოსკენ გაემგზავრება. დღესასწაულებში რამდენისამე დღით ჩამოვა კროპივნიცკის მალოროსიული დასი და შემდეგ კი დრამატიული დასი ფორკატისა, რომელიც ბათუმში უკვე აბოლოვებს თავისს წარმოდგენებს.

*** ბათუმი: ეს-ეს არის გაათავა ბათუმში თავისი კრებანი ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ, რომელმაც ბლომად გაარჩია სხვადა-სხვა საქმე სისხლის სამართლისა და მათ შორის ლევან მჭედლოვის საქმეც, რომლის განხილვამაც გასტანა ორს დღეს და მიიპყრო თითქმის მთელის ბათუმის საზოგადოების ყურადღება. ეს ყურადღება ერთის მხრით იმითი აიხსნება, რომ ბრალდებულს მთელი ქალაქი იცნობს, შეძლებული კაცია, ხმოსანია, და მეორეს მხრით თვით იმ ბრალითაც, რომელიც ედებოდა. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ლევან მჭედლოვს ტრაპიზონელ მდიდარ ვაჭრის ჩილინგაროვის სახლის დაწვასა სდებდნენ ბრალად, რადგან ბრალდებული გამგე და მართველი იყო ამ სახლისა. დამცველად მოწვეული იყო ტფილისის ცნობილი

## ფელეტონი

### მოტყუებული

(ამბავი)

შემოდგომის ცივი და ბნელი ღამე იყო. სამგლოვიარო ძაძა-ფლასით მორთული ცა მწუხარების ცრემლს აფრქვევდა დედა მიწას, სადაც მძაფრხა და სუსხიანს დასავლეთის ქარს ფერხული გაემართა და საზარელი ღრიალი გაუდიოდა. ხეები ძირიან-ტოტებიანად ინძრეოდა და ირხეოდა, შენობები ზრიალებდა და წრიალებდა, ტყე გმინავდა და ოხრავდა, ადიდებულს მდინარეს კალაპოტი ველარ იტევდა, ხათქა-ხუთქი გაჰქონდა ნაპირებზედ და აქაფებული მედიდურად მიიზლაზნებოდა თავის გზისაკენ. ერთის სიტყვით, დახელოვნებულს კალამია საჭირო, რომ აღწეროს, თუ რა საშინელი ღრიანცელი იდგა იმ ღამეს დედა-მიწაზედ და რა ვაი ვაგლახი იყო ცაში. გეგონებოდათ ცამ და დედამიწამ ერთმანეთს ანგარიში მოსთხოვეს და ომი გაუმართავთო. იფიქრებდით, აი ამაღამ უნდა განადგურდეს ან ერთი და ან მეორე ამ საშინელის ომის ქარტეხილშიო; ან არა და, შესაძლოა, ასეთმა სიგიჟემ და ზვიადობამ ბუნებისამ ცაც დააქციოს და დედამიწაც დაამხოსო.

მაგრამ ამ დროს ადამიანი ყველაზე მეტად იმასა სცდილობს, რომ როგორმე თავის დავიწყებას მიეცეს და ამ გვარს არა სანატრელს ფიქრებს თავი დააღწიოს და დაიძინოს. კარგია ამ შემთხვევაში თბილი და ლბილი ლოგინი, ჩლუნგი გონება, ცივი გული და დახშული სინიდისი, რომ კაცმა თავის თავსაც არ მოსთხოვოს თავისივე მოქმედების ანგარიში და მოსვენებით ხვრინავდეს და მით ბანს ეუბნებოდეს ბუნების ალიაქოთსა და ღრიანცელს. ხოლო ვაი იმას, ვისაც საქმე ასე არა აქვს მოწყობილი და სინიდისი დაუწყებს მხილებას თავის შეცოდებათა და დანაშაულთათვის! ვაი იმას, ვინც ჩავარდნილა ისეთს მდგომარეობაში, როცა თავის თავის ბრალმდებელიც არის, მოსარჩლეც და დასასრულ მსაჯულიც! სწორედ ასეთს მდგომარეობაში იყო იმ საშინელს ღამეს ერთი ახალგაზრდა, თექვსმეტისა თუ ჩვიდმეტის წლის, ქალი ლიზა, კარგის ოჯახისა და პატიოსან მშობელთა შვილი, რომლის თვალებსაც ძილი არ ეკარებოდა და რომელიც არც-კი წვებოდა, რომ დაეძინა. ის მთელის აგებულებით, მთელის ტანით ცახცახებდა და თრთოდა, კანკალებდა და ტოკავდა მიუხედავათ იმისა, რომ თბილს ოთახში იმყოფებოდა და სუფთა ლოგინი იყო გაშლილი იმისათვის, რომელშიაც იმის მომდევნო დას კარგა ხანი იყო რაც დაძინებოდა. ლიზასაც თავის უმცროს დასთან ერთად უნდა დაეძინა. ის ოთახი ამ ორითა ჰქონდათ მიჩემებული. დანარჩენ ოჯახის წევრთაც მახლობელს ოთახებში ეძინათ. ლიზა-კი იმ ღამეს ლოგინს არ ეკარებოდა, დაძინება ფიქრადაც არ მოსდიოდა.

როგორც უკვე აგიწერეთ, იმ ღამეს დიდი ალიაქოთი და ვაი-ვაგლახი იყო ბუნებაში. ცა და დედამიწა ერთმანეთს დაჯახებას უპირებდნენ, ცა სჭექდა, მიწა გრგვინავდა... მაგრამ ყოველივე ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც საბრალო ახალგაზრდა ქალის გრძნობა-გონებაში ხდებოდა. მე უკვე ვსთქვი, რომ ის თრთოდა და ცახცახებდა. დიახ თრთოდა და ცახცახებდა და იმავე დროს იწოდა და იდაგებოდა. ოთახი კარგა განათებული იყო და შეგეძლოთ შეგენიშნათ, რომ მის შავს, მიბნედილს თვალებში რაღაც ზიზღი, რაღაც უკმაყოფილება იხატებოდა. მისი სპეტაკი და განიერი შუბლი მწუხარების ღრუბლით იყო გარე-მოცული. მისს, თუმცა ფერ-მიხდილს, მაგრამ სანდომიანსა და მარილიანს სახეს უმადურობისა და უიმედობის ბეჭედი ესვა. საზოგადოდ მისი მოძრაობა, მიხვრა-მოხვრა და სახის გამომეტყველება აშკარად ამტკიცებდა, რომ ის რაღაცას არა ჩვეულებრივს აპირებდა. ლიზა დიდხანს იყო გაშტერებული და გაფითრებული მაგიდასთან მიმჯდარი, თითქო რაღაცას იგონებს და ვერ მოუგონებიაო. იმის სულსა და გულში „ჰო-არაო“-ბის კითხვა იყო აღძრული. იმის გრძნობა-გონებაში ყოფნისა და არ ყოფნის შესახებ იყო სჯა. ლიზა ამ დროს თავის გონებრივისა და ზნეობრივის ძალ-ღონით უმაღლესს სამსჯავროს წარმოადგენდა, სადაც თითონვე იყო თავის თავის მსაჯულიცა და ჯალათიც. ეს წამი იმისათვის საშინელის განსჯა-განკითხვის წამი იყო. თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, მას მესამედიც ჯერ სრულიად არ ჰქონდა ცხოვრების გზა გაველილი, და ისეთს ფიქრებს მისცემოდა, ისეთი შეხედულება დაჰბადებოდა ცხოვრების შესახებ, ისეთ ნაირად მოტყუებულიყო ცხოვრებისაგან, რომელიც შასავით უმანკო და უცოდველი ეგონა, რომ დღეს იმისათვის სიკვდილი უმაღლესი ნეტარება და უსიამოვნესი დატკბობა იყო. მაგრამ თავის თავზე ამ სასჯელის შესრულება

ვექილი ტერ-სტეფანოვი, ბრალმდებელად იყო—ბ-ნი კოვაჩი. როგორც სასამართლოში საქმის გარჩევამ აღმოაჩინა, ბრალი სრულიად არაფრით იყო დასაბუთებული, მოწმები ერთმანეთის წინააღმდეგს ჩვენებას იძლეოდნენ, იოტის ოდენი ეჭვიც-კი ძნელად მისატანი იყო. საზოგადოება, რომელიც ესწრებოდა საქმის გარჩევას, მეტადრე ვექილის ტერ-სტეფანოვის მიერ წარმოთქმულს მშვენიერს სიტყვას შემდეგ დარწმუნებული იყო, რომ ბ-ნი მჭედლოვი სრულიად უბრალოა ამ საქმეში და სასამართლოც უეჭველად გაამართლებსო. მართლაც, მცირეოდენს თათბირს შემდეგ, მოსამართლეები გამოვიდნენ და გამოაცხადეს, რომ ბ-ნი მჭედლოვი და სხვანიც, მასთან ერთად ბრალდებულნი, გამართლებულ იქმნენო. საზოგადოებამ ეს განაჩენი სიამოვნებითა და ტაშის კვრით მოისმინა.

*** იქიდამვე: ერთი თვეც იქნება, რაც ბათუმის საქველ-მოქმედო საზოგადოებამ, თავისის თავმჯდომარის ქ-ნ სევერინას მეთაურობით, დააარსა შეუძლებელ ავადმყოფთათვის უსასყიდლო სამკურნალო, რომელიც ზოგს უსასყიდლოდვე ურიგებს წამალს და ზოგს-კი ერთი-ორად იაფად. ამ სამკურნალომ ეხლავე ბლომად მიიზიდა ბათუმის ღარიბი ხალხი და, როგორც ამბობენ, ამ ერთის თვის განმავლობაში ხუთასი ავადმყოფი მისულა.

*** იქიდამვე: ბათუმის ოლქში მკვიდრნი ხარჯს ფულად-კი არ იხდიდნენ აქამდე, არამედ, როგორც ოსმალეთშია, მოსავლის მეათედი ნაწილი ერმეოდათ ხარჯად. ამგვარი წესი ხარჯის გადახდისა—„აშარად" წოდებული შეადგენდა მძიმე ტვირთს ხალხისათვის და ჰბადებდა დიდს უკმაყოფილებასა და ბოროტ მოქმედებას. განსვენებულმა გროსმანმა იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რომ საკანონ-მდებლო წესით შეიცვალოს და მოსავლის მეათედის მაგიერ ფულად გადაწყვიტოთ მკვიდრთ ეს ხარჯიო. რა-კი მთავრობამ ნება დართო, ფულად დანიშნულის ხარჯით გაწერა-განაწილება მინდობილი აქვს ოლქისა და უჩასტკის უფროსებს. ამას წინად გათავდა ოლქისა და უჩასტკის უფროსთა კრება, რომელიც გუბერნატორის თანაშემწის თავმჯდომარეობით იყო გამართული. კრებამ დაწვრილებით გასინჯა და გამოიძია ეს საგანი და კეთილად დაამოლოვა კიდეც.

*** ს. კოდიწყარო (გორის მაზრა): 11 ამ თვეს აქ შემდეგი უბედურება მოხდა. ექვსამდე კაცი წასულიყო აქედამ ტყეში. თან წაელოთ ექვს კაცს შვიდ თუნგამდე ღვინო. გზაში ძალიან ჩალეულიყვნენ. ტყეში რომ მისულან, ჩამომხდარან ოსების სოფელში და უთხოვნიათ ოსებისათვის ხის მოჭრის ნება. ოსებს უარი უთქვამთ. სიმთვრალის დროს პურის ჭამაზედ ორს: ბ—შვილსა და ნ—ძეს ჩხუბი მოსვლიათ, მაგრამ იმ ხანად ამხანაგებს გაუშველებიათ. გზაში ბ—შვილი წასჯაჯგურებია ნ—ძეს და წაუქცევია. მას უკან თითქო შერიგებულან კიდეც და მშვიდად წამოსულან. კოდიწყაროსთან რომ მოსულან, ნ—ძეს დაუკრავს შუბლში ცული და მაშინვე წაუქცევია. დაჭრილი ერთი დღე ყოფილა იმავე ადგილას. მეორე დღეს ფერშალი და გამომძიებელი მიუყვანიათ. ფერშალმა სთქვა, რომ ადრე რომ მივშველებოდით, მორჩებოდაო, რადგანაც ჭრილობა-კი არ იყო სასიკვდილო, არამედ სისხლისაგან დაცლილა და მომკვდარაო.

*** ქ. გორი: წარსულს გიორგობისთვეს და ამ ქრისტეშობისთვეს შემდეგი ფასი ადევს სხვა-და-სხვა სავაჭრო სანოვაგეს და სოფლის მოსავალს ქ. გორში. ქერი ფუთი 50 კ., შვრია 50 კ., თივა 45 კ., ბზე 10 კ., ხორცი ძროხისა 2 მ., 40 კ., გირვ. 6 კ. ცხვრისა 2 მ., 80 კაპ., გირვ. 7 კ., ქონი: ძროხისა 8 მან., გაუდნობელი, გადნობილი 6 მან., ცხვრისა გაუდნობელი 8 მან., გამდნარი 6 მან., ღორისა გაუდნობელი 8 მან., გამდნარი 6 მან., ერბო გაუდნობელი ძროხისა 16 მან., გამდნარი 14 მან., სელის ზეთი 11 მან., კომბოსტო ახალი 45 კ., კარტოფილი 50 კ., ხახვი 40 კ., ნიორი 60 კ., ლობიო 80 კ., სტაფილო 50 კ., კიტრის წნილი ასი 1 მან., 20 კ., გამხმარი სოკო 48 მან., მარილი ქვად 1 მან., დანაყილი 1 მან. და 20 კაპ., პილპილი 24 მან., დაფნის ფოთოლი 6 მან., გადამდნარი თაფლი 8 მან., გადუდნობელი 12 მ., ქონის სანთელი 8 მ., კარტოფილისა 10 მ., ნავთი 1 მ., და 20 კ., საპონი პირველი ხარისხისა 6 მ., მეორისა 4 მ., ვედრით რძე 2 მ., და 50 კ., ადგილობრივი ყველი 6 მ., სპირტი ტრალლესის 75% ვედროთი 10 მ., არაყი პირველი ხარისხისა 5 მ., და 80 კ., მეორე ხარისხისა 5 მ., ღვინო, ადგილობრივი მოსავლისა, ვედრო, პირველი ხარის. 5 მ., მეორე ხარისხისა 3 მან., ღვინის ძმარი 5 მან., ჩაი შუათანა ღირსებისა 1 მ. 80 კ., დაბლისა 1 მ., 20 კაპ., შაქარი 6 მან. 20 კაპ., შაქრის ფხვნილი 6 მან., დღიური ფასი მუშაზედ 60 კ., დღიური ფასი კაცზე ცხენით 1 მ. და 80 კ., კაცზედ ულელი ხარით 1 მ. და 60 კ., ტომრების საკერი ძაფი ბანზასა ფუთი 10 მ., კანაფისა 25 მ., რვა ფუთის წაღება 100 ვერსზედ 2 მან. 18 კ., ერთს ვერსზედ 4 კ., ულელი ხარი 30 ვერსის გავლა 60 კ., შეშა საჟენი 19 მანათიდამ 30 მანათამდინ. ხე სიგძით შვიდ არშინიანი და სისქით 5 ვერშოკიანი 2 მ. და 50 კ., ხორბალი ფუთი 1 მ.. ფქვილი 1 მ. და 30 კ.

—

შეცდომის გასწორება: გუშინწინდელს ნომერში, ბათუმში გამართულ ლატარეი-ალეგრის ანგარიში, შეცდომით დაბეჭდილი გვარები ასე უნდა იყოს: რ. ვ. გვამიჩავა, ი. კახიანი, პ. ლ. მჭედლოვი, მ. ნ. თოხუმოვი.

## ქართული სახალხო თეატრი

ციმბირელი. კომ. 4 მოქმ. ა. ცაგარლისა.

გუშინ-წინ, 13 ქრისტესშობისთვეს სახალხო თეატრში არტისტის ბ-ნ აწყურელის საბენეფისოდ დანიშნული იყო ჩვენს საზოგადოებაში ფრიად ცნობილი პიესა „ციმბირელი". თითონ მობენეფისე ბ-ნი აწყურელი კაკაბელი პეტუას როლს თამაშობდა და, უნდა გითქვათ, ამ არტისტმა თავისი სასცენო ნიჭი და ძალ-ღონე არ დაზოგა, რომ ნაკისრი როლი როგორმე უნაკლულოდ ჩაეტარებინა, მაგრამ კაკაბელი პეტუა ისეთის სისრულით მაინც ვერ დაგვიხატა, როგორათაც პიესის ავტორსა აქვს გამოყვანილი. განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც პეტუა მაშოს, მაზუნიანის მოსამსახურეს (ქ-ნი დიდებულიძისა) სიყვარულს უცხადებს, ცოტა არ იყოს უხერხულად მოუვიდა. ის-კი ისეთი ადგილია ამ პიესაში, სადაც არტისტს შეუძლიან თავისს ნიჭსა და ხელოვნებას ფრთა შეასხას და საზოგადოებას ცოცხლად დაანახოს ავტორის მიერ დახატული ტიპი თავის სულ-ხორცით, თავის შინაგანისა და გარეგანის მდგომარეობით. ასე თუ ისე მაყურებელი საზოგადოება, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ ძლიერ ცოტა იყო, მობენეფისეს მიერ ნასიამოვნები დარჩა, რის გამოც ტაშის კვრა და „ბრავო"-ს ძახილი წარმოდგენის გათავებამდე არ შეწყდარა.

მობენეფისეს გარდა რიგიანად და თითქმის უნაკლულოდ ჩაატარა თავისი როლი ბ-ნმა გამყრელიძემ, რომელიც ციმბირელი ივანე უსტაბაშის როლს თამაშობდა. იმ ადგილას, სადაც თავის კინაობას შემდეგ ციმბირიდამ დაბრუნებისა თავის ცოლშვილს უცხადებს, ხომ ყველას გული აუჩუყა და თვალებში ცრემლები მოგვგვარა. ბ-ნი ადამიძე იმერლის როლში გვინახავს და მოგვწონებია და არა ნაკლებ მოსაწონი იყო სტეფან მაკარიჩის (ვაჭარი) როლშიაც. ბ-ნი მჭედლიშვილი კარგს იქმოდა, რომ გლეხის როლს დასჯერებოდა და ისეთი როლი არ ეკისრნა, როგორიც იმ ღამეს ჰქონდა (იპპოლიტ ქლესოვი, ადვოკატი). ამ გვარ როლების შესრულებას და მას შორის, ჩვენის აზრით, ჯერ კიდევ დიდი მანძილია. ბ-ნი კოპაძე (ციმბირელის შვილი ნიკოლა) მეტისთად მოჰკიდებოდა თავისს სათამაშოს, რომელიც კარგად გაეზეპირებინა და სცენაზედ არა ურიგოდ ეჭირა თავი. გამგე თეატრისა ბ-ნი ნებიერიძე, რომელიც მაზუთიანს თამაშობდა კარგად მოიქცეოდა, რომ როლის დასწავლისათვის ცოტაოდნად მაინც შეეწუხებინა თავი. როლის უცოდინარობამ იმისი სათამაშო მეოთხე მოქმედებამდის ძალიან წაახდინა. მეოთხე მოქმედებაში-კი, როცა სალაპარაკო ცოტა აქვს და მხოლოდ თავს აბრალებს და პატიებასა სთხოვს ივანე უსტაბაშს, კარგად მოუვიდა. ცოცხლად დაგვიდგა თვალ-წინ მახუში გაბმის გამოგაიძვრა და გაქნილი კაცის შინაგანი სურათი. ქ-ნს დიდებულიძისას (მაზუთიანის მოსამსახურე) როლი კარგად ესწავლა და თამამადაც იჭერდა თავს სცენაზე, სხვაფრივ-კი არაფრით ეტყობოდა წარმატება და წინ წაწევა სასცენო ხელოვნების საქმეში. ქ-ნი იოსელიანისა (ივანე უსტაბაშის ცოლი) თურმე ბებრების როლში უფრო გამოდგება, ვინემ ახალგაზრდებისაში და კარგად მოიქცევა, რომ უოკველთვის ასეთივე როლების ასრულებას იკისრებდეს. ეს როლი, როგორც აფიშაში იყო გამოცხადებული, ქ-ბნს ჩერქეზიშვილისას უნდა ასრულებინა, მაგრამ სამწუხაროდ ჩერქეზიშვილის სრულიადაც არ დაგვინახავს სცენაზედ. იმის მაგიერობა ავად თუ კარგად ქ-ნმა იოსელიანისამ გასწია და იოსელიანისა-კი (მაზუთიანის ცოლი) დატოვებულ იქმნა. არ დაგვინახავს აგრეთვე სცენაზედ ზაქული (დუქნის ბიჭის როლი უნდა შეესრულებინა) და არც მის მაგიერი ვინმე.

გვაკვირვებს, აფიშაში რად იყვნენ გამოცხადებულნი იმისთანანი, რომელთაც თამაშობაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

უფიცარი რეცენზენტი

## მცირე საარხეოლოგიო შენიშვნა.

ამ ზაფხულ ქსანზე, კორინთის მღვდლის ოჯახში, ვნახე ძველი ხელთნაწერი. ხელ-თ-ნაწერი, რომელიც დაწერილია ხუცურად ძველებურ სქელ ქაღალდზე სახარებასავით ორ სვეტად, შესდგება რამდენისამე სხვა-და-სხვა წიგნისაგან, რომლებიც ერთს ტყავგადაკრულ ხის ყდაში არის მოქცეული. ფორმატი ხელთ-ნაწერისა დიდია... ამ ხელთ-ნაწერის პირველი წიგნი, რომლისაც სახელი ვერ შევიტყე, რადგანაც თავი და ბოლო აკლია, და რომელიც, როგორც შევნიშნე, შესდგება რაღაც კათეხიზმოს მზგავსს კითხვა-პასუხისაგან, შეიცავს ოც-და-სამს ფურცელს. მეორე წიგნი: „სიტყვა ლათინთა მიმართ ჩვენ, მართმადიდებელთა მიერ, თუ რაი არს ჩვენგან მათი განყოფილება, თქმული უნდოსა და გლახაკისა ხუცეს მონაზონისა ბესარიონის მიერ, რომელი იყო უდაბნოთ გარეჯით-მრავალ მთით მონასტერსა წმინდისა იოანე ნათლის მცემელისა, ხოლო წიგნსა ამას ეწოდების გურდემლი" შეიცავს ას-ორმოც-და-ექვსს ფურცელს. ეს წიგნი თავდება ზანდუკით, რომელიც ასე იწყობა: „ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა გურდემლ ეწოდების, რომელსა შინა თვითვეულად განგიმარტებს მიზეზსა და ძალსა ყოველივე აქა წერილისასა, თუ რომელი თავი რისა მიზეზისათვის არს". „გურდემლი",

---

მას ეძნელებოდა, არ ეხერხებოდა. სხვისაგან-კი ამავე სასჯელს დიდის სიამოვნებით იყიდდა. მართალია მას ამისათვის ოქრო-ვერცხლი არა ჰქონდა და არც ისეთი ძვირფასი-რამ სამკაული ებადა, მაგრამ, მისის აზრით, თუ ვინმე ისეთს მადლს იქმდა, თუ ისეთს მოწყალებას მოიღებდა მაზედ, რომ მოჰკლავდა, სამაგიეროდ იმისგან მიიღებდა საკმაო ჯილდოს; ჯილდოს, რომელიც ოქრო-ვერცხლს არც-კი ჩამოუვარდებოდა ფასში. ლიზა ასეთს მადლიანსა და მოწყალე კაცს შენანებულის სინიდისის მხილებით ეტყოდა: „გმადლობთ, რომ ამ სატანჯველს მომარჩინეთო". ასეთს თავ-სატეხსა და შემაძრწუნებელს ფიქრებში იყო წასული ლიზა, როცა ისე გარინდებული, თითქოს გაქვავებული და გონება მიხდილი მაგიდასთან იყო მიმჯდარი.

სიკვდილი, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ის ნატვრის თვალად გადაჰქცევიათ, ადვილი საშოვარი არ არის. ჩვენში ხშირად ხმარობენ ხოლმე შემდეგს ფრაზებს: „რატომ დედამიწა არ გამისკდა, რატომ ცა არ დამენგრა თავზედ და იქვე არ გავთავდიო". ცხადია, რომ თუ ეს სიტყვები გულ-წრფელად არის ხმარებული, ამის მთქმელი იმ დროს დიდს სულიერს განსაცდელში და გაჭივრებაში, იყო. ისეთს განსაცდელსა და გაჭირებაში, რომ მხოლოდ სიკვდილი იქნებოდა მისი ერთად-ერთი ნუგეში, მისი დამხსნელი და გამომსყიდველი ამ განსაცდელისა და გაჭივრებისაგან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბევრს არა აქვს იმდენი გაბედულება, რომ იმავე წამში მოუღოს თავის თავს ბოლო და შერცხვენილი და ლაფ-დასხმული სიცოცხლე-კი არ ატაროს. ბევრი ამ გვარს სიცოცხლეს შეურიგდება და აინუნშიაც არ ჩაიგდებს, რომ ის ერთხელ უკვე მკვდარია და მეორეხელ კიდევ უნდა მოკვდეს. ზოგნი-კი იმდენად გულ-მტკიცენი და სულ-მაგარნი არიან, რომ არ შეუძლიან შელახულსა და ჩირქ-მოცხებულს სიცოცხლეს შეურიგდნენ და იხევ ერთხელ და ერთხელვე სიკვდილს ამჯობინებენ.

ლიზა ამ უკანასკნელ კატეგორიას ეკუთვნოდა.

ის ადგა და ოთახში წინ და უკან სიარული დაიწყო, ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ მან უკვე გადასწყვიტა, რაც უნდა გადაეწყვიტა. ბევრი ავიდ-დავიდე, ბევრი ვწონე და ვზომე, ბევრი ვარკვიე და ვჩხრიკე, ყოველის მხრით გავსაჯე და გავასამართლე ჩემი საქციელი, მაგრამ მაინც დანაშაული გამოვედიო, ფიქრობდა ის. ჩემის დანაშაულით, რაიცა ნებსით მომივიდა თუ უნებლიეთ, ცნობით თუ უმეცრებით, ჩემი მოხუცებული მშობელნი დავსაჯე და დავტანჯე. იმათს პატიოსანს სახელს შეურაცხყოფა მივაყენე, ჩირქი მოვაცხე. ჩვენი სახელოვანი ოჯახი მეზობელთა საჭკილავად და საჭიცხავად გავხადე, ნაცნობთა და უცნობთა საყვედრელად შევქენი. ჩემი სახლეულნი, ნათესავნი და მეგობარნი მთელი სოფლის ყბად ასაღებ და საჭორიკანაო საგნად ვაქციე. თუ ამ სოფელში ორნი ერთმანეთს ელაპარაკებიან, ელაპარაკებიან უსათუოდ ჩემი ამბის გამო. ისეთი საჭორიკანო მასალა მიეცა ჩემ გამო სოფელს, რომ ვინ იცის, რავდენ ხანს ეყოფათ!.. კარში ველარ გამოვსულვარ, ეზოს გარედ ფეხი ვერ გადამიდგამს, დედ-მამისთვის პირ-და-პირ სახეში ვერ მიცქერია, დასა და ძმას ვერ დაველაპარაკებივარ, ხმა ვერ გამიცია. თუ ვინმე იცინის და იღიმება უსათუოდ ჩემგამო, მე დამცინის. თუ ვინმე ჯავრობს და წყრება, ისიც ჩემგამო, მე მიჯავრდებიან, მე მირისხდებიან, მე მიწყრებიან. მე უბედური! მე ცოცხლების საიდამ ამორიცხული ვარ. არა თუ ადამიანთა საუბარში ისმის ჩემი ძაგება, ასე გასინჯეთ, როცა ყვავი ჩხავა, მგონია, რომ ისიც მე მკიცხავს და მაძაგებსმეთქი. არა თუ ადამიანთა სახეზე იხატება ზიზღი ჩემდამი, არამედ ასე მგონია, რომ ეს მოღრუბლულ-მუკუპრული ცა, ეს ქარიშხალიანი დღე და ღამეები ჩემს საქციელს გამოეწვიოსმეთქი. დიახ მას აქეთ, რაც ჩემი უნამუსოება გამოაშკარავდა, მზემაც პირი მოარიდა ქვეყანს, მთვარემაც ღრუბლებს ამოაფარა თავი და ვარსკვლავებიც სადღაც მიიმალნენ. ამას შემდეგ რაღათ უნდა მქონდეს ბინა ამ ქვეყანაში და თუ მექნება, რა სახელი უნდა მქვიოდეს? სალახანა, ჩასაქოლავი. მეტი ხომ არაფერი!.. მერე ამ სახელის მქონე ადამიანს ქვეყანაზე უნდა ედგომებოდეს? აღარა. მე ღირსი არა ვარ მზის სინათლისა! სხვები ერთის სიკვდილით კვდებიან და მე-კი ჩემმა უმადურმა ბედმა ორი სიკვდილი მარგუნა წილად. ერთის სიკვდილით უკვე მკვდარი ვარ. არიან რჩეულნი ადამიანები, რომლებიც სიკვდილს შემდეგაც სცოცხლობენ, მე-კი, მე უბედური და ღმერთ გამწყრალი, სიცოცხლეშივე მოვკვდი, სიცოცხლეშივე დავიმარხე. ოჰ, იყოს წყეულ და შეჩვენებულ აწ და უკუნისამდე, ვინც მე ამ დღეში ჩამაგდო; ვინც ცბიერებითა და მანქანებით შემომიჩნდა და მანამ არ გამახარა, სანამ არ მომტაცა უძვირფასესი და უხაჭიროესი კუთვნილება ჩემი, ნამუსი. ოჰ, მოღალატევ, იუდავ, მაცდურო! რა უყავი შენი პირობა, შენი აღთქმა? ნამუსი ამხადე,

როგორც ზანდუკიდანა სჩანს, შესდგება ოც-და-თვრამეტი (XXXVIII) თავისაგან. მესამე წიგნი: „წამება ქეთევან დედოფლისა“, შეიცავს რვა ფურცელს. მეოთხე წიგნი: „მოთხრობა სვეტიცხოვლისა“, შეიცავს ოც-და-ცხრა ფურცელს. მეხუთე წიგნი: „წამება და ღვაწლი წმინდათა დიდებულთა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი, რომელნი იწამნეს ქვეყანასა ჩრდილოეთისასა“, შეიცავს ექვსს ფურცელს. მეექვსე წიგნი: „წმინდისა მოწამისა აბოსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა თბილისს, ხელითა სარკინოზთაგან“, შეიცავს ოთხს ფურცელს. მეშვიდე წიგნი: „შესხმა და წამება წმინდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისა, მეფისა მის ქართველთასა, რომელი იყო ნათესავი და ტომი ხვასროვანთა, სპარსთა მეფეთა, და იწამა ქალაქს შინა ჰიჰუმ მძლავრისა მიერ, რომელსა ეწოდა ასიმ“, შეიცავს რვა ფურცელს. მერვე წიგნი: „ღვაწლი წმინდისა და სანატრელისა მოწამისა და მეფისა ლუარსაბისა, რომელ იწამა შაჰაბაზ ურჯულოსა მიერ, სპარსთა მეფისა“, შეიცავს ათს ფურცელს. მეცხრე წიგნი: „შესხმა წმინდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისა და უწყება წამებისა მათისა“, შეიცავს ათს ფურცელს. მეათე წიგნი: „დაძინება წმინდათაგანისა მამისა ჩვენისა ისე წილკნელ ეპისკოპოზისა, საკვირველთ მოქმედისა, რომელ იყო ერთი ათორმეტთა მამათაგანი, რომელნი შუამდინარით მოიწივნეს“, შეიცავს ცხრა ფურცელს. აქვე არის ხატი ისესი და სურათი წილკნის ეკკლესიისა გალავნითურთ. მეთერთმეტე წიგნი: „წამება და ღვაწლი წმინდისა დიდისა მოწამისა რაჟდენისა, რომელი იწამა ჟამსა დიდისა მეფისა ვახტანგისასა სპარსთა მიერ ქართლსა შინა, სოფელსა შინა წრომსა“, შეიცავს ცხრა ფურცელს. მეთორმეტე წიგნი: „ცხოვრება და მოქალაქობა წმინდისა მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისა“, შეიცავს ოთხს ფურცელს. ამ წიგნის ბოლოში არის სურათი თვით ილარიონისა. შემდეგ არის სურათი პეტრე ქართველისა, მამასა ეპისკოპოზისა; აქვეა ხატები სხვათაცა, რომელთ ვინაობაც ვერ ამოვიკითხე. ამ სურათებს შემდეგ არის წერილები პეტრე ქართველის შესახებ. ეს წერილები შეადგენენ მეცამეტე წიგნს. მეცამეტე წიგნს მოსდევს სურათში: წმინდისა მოწამისა გობრონ ქართველისა, ღირსისა მამისა თათე მამებელისა, კონსტანტინე ქართველისა, პიროს ბრეთელისა, სტეფანე ხირსნელისა, მიქაელ ულუმბელისა, გრიგოლ ხან-ძლელისა (ხანძოელისა), არსენ იყალთოელისა, ისიდორე სამთავნელისა, დოდო ქართველისა და დივით გარეჯელისა. სურათები დახატულებია ფერად-ფერადის წამლებით. მეთოთხმეტე წიგნი: „ცხოვრება და საკვირველთ მოქმედება წმინდისა და ნეტარისა შიოსი, რომელი იყო ანტიოქიით, შუა მდინარით ასურეთისა, და რომელი დაემკვიდრა სარკინისა, რომელი ესე აღწერა (ვერ ამოვიკითხე), რომელსა ეწოდა (ვერ ამოვიკითხე), რომელი იყო კონსტანტინეპოლით,“ შეიცავს ოც-და-თერთმეტს ფურცელს. ამ წიგნში არის სურათი თვით შიოსი. მეთხუთმეტე წიგნი, რომლის სახელიც ვერ გავიგე, რადგანაც თავი და ბოლო აკლია, შეიცავს შვიდს ფურცელს.

კარგი იქნებოდა, რომ პატივცემული მღვდელი ამ ხელთ-ნაწერს შესწირავდეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგთ-საცავს, სადაც ამ გვარი ძველი ნაშთები ბლომად გროვდება საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან.

ჩემი ცნობა ამ ხელთ-ნაწერის შესახებ, რასაკვირველია, სრული არ არის: შეიძლება, უცოდინრობის გამო, ბევრი რამ ვერ შევნიშნე და ამიტომაც გამოვტოვე.

გრ. აფშინაშვილი

## წერილი რედაქციის მიმართ

მის ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის პალლადის ნებართვითა და ლოცვა-კურთხევით ტფილისის დიდუბის ღვთის-მშობლის სამრევლო-საეკკლესიო სკოლასთან ვაარსებ წიგნთ-საცავსა და სამკითხველოს ხალხისთვის.

ამის გამო უმორჩილესად ვთხოვ საზოგადოებას, არ დაიშუროს და მცირეოდენითაც არის დაგვეხმაროს ამ კეთილს საქმეში.

შემოწირულებანი მიიღება ზემოხსენებულს სკოლაში.

გამგე სკოლისა მღვ. ბ. ზედგინიძე.

# რუსეთი

გაზეთს „Новости“-ში დაბეჭდილია ე. ი. ლიმანსკის სიტყვა, წარმოთქმული თავისუფალი საეკონომიო საზოგადოების მესამე განყოფილების კრებაზე. ამ სიტყვაში შედარებულია ეკონომიური მდგომარეობა ინგლისისა, რომელიც ყოველთვის თავისუფალ ვაჭრობის მომხრე და მიმდევარია, და სხვა ქვეყნებისა, სადაც უკანასკნელის კრიზისის გამო სატამოჟნო გადასახადი შემოიღეს და ვაჭრობას მფარველობას უწევენ. ლიმანსკი ინგლისიდგან იწყებს თავისს სიტყვას და ჯერ ამ ქვეყნის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაზედ ლაპარაკობს:

„1886 წლიდგან 1889 წლამდე, ანუ უკეთ ვსთქვათ 1890 წლის ნახევრამდე ინგლისის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის თანხა 4,900 მილიონიდგან—5,900 მილიონზე ავიდა ე. ი. სულ $3^1/_2$ წლის განმავლობაში ერთი მილიარდი იმატა, რაიცა იმის საბუთია, რომ ვაჭრობა წინ-წინ მიდის და ძლიერდება. წლეულს შარშანდელზედ მეტი თანხა ტრიალებს, ხოლო შარშანაც-კი იმოდენა იყო, რამდენიც წინა წლებში არას დროს არა ყოფილა. ახლა ინგლისის შინაურს საქმეებს დავუკვირდეთ. 1887 წელს ინგლისის ყველა ბანკში კერძო კაცთაგან შესანახად შეტანილი ფული სულ 4 მილიარდი იყო, ხოლო 1890 წლის პირველ იანვარს-კი 5 მილიარდი მანათი. მატულობს თანხა აგრეთვე შემნახველს კასსებშიც, სადაც ფულსინახავს მომეტებულ ნაწილად დაბალი ხალხი, მუშები, წვრილმანი მრეწველები და ერთის სიტყვით ღარიბი შეუძლებელი ნაწილი საზოგადოებისა. ამ ჟამად შემნახველს კასსებში 870 მილიონი მანათი ფულია. ინგლისიდგან სხვა ქვეყნებში გადასახლებულთა რიცხვიც ყოველ წლივ კლებულობს, ისე რომ ამ უკანასკნელს ორს წელიწადში 50 ათასით ნაკლები წავიდა, ვიდრე წინად მიდიოდა ამოდენისავე ხნის განმავლობაში. მცირდება რიცხვი ღარიბებისაც, რომელთა სასარგებლოდ მდიდრებზე გარდასახადია დაწესებული. 1888 წელს ღარიბთა სიაში ჩაწერილი იყო 825 ათასი კაცი და 1890 წ. პირველ იანვარში-კი მარტო 793 ათასი. თუ პროცენტებით ვიანგარიშეთ—ამ 20 წლის წინად ღარიბთა რიცხვი $5^0/_0$-მდე, სახელდობრ, $4{,}88^0/_0$ იყო მცხოვრებთა საერთო რიცხვისა და ეხლა-კი, 2,77 პროცენტია. რიცხვი დამნაშავეთა, რომელთაც დაპატიმრება ჰქონდათ გადაწყვეტილი 1868—1869 წ. 58 ათასი იყო, ხოლო 1888—1889 წელს-კი 43 ათასი ე. ი. 15 ათასით ნაკლები, მიუხედავად იმისა, რომ მცხოვრებთა საერთო რიცხვმა იმატა და 22 მილიონის მაგიერ ეხლა 29 მილიონია. ინგლისის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი ყოველთვის სჭარბობს ხარჯსა და ამ ბოლოს დროს ყოველ წლივ 26 მილ. მან. რჩება, ამ 10 წლის განმავლობაში ინგლისმა 300 მილ. მან. სახელმწიფო ვალი გადაიხადა. მეურნეობაც, რომელსაც კრიზისი ყველაზე ძლიერა სჩაგრავს ხოლმე, თან-და-თან შესამჩნევად ძლიერდება. ეხლა ყოველ წლივ 64000 დღიურით მეტი იხვნის ყოველ წლივ წინანდელზე. ამ ორის წლის წინად წვრილფეხი და სხვილ-ფეხი საქონელი მთელს ინგლისში 1,470 მილ. მანათისა იყო და 1890 წლის პირველ იანვარს-კი 1,824 მილიონისა ე. ი. ორს წელიწადში 400 მილიონისა მოემატა. ამ ცნობებიდგან აშკარად სჩანს, რომ 1889 1890 წელს ინგლისი იმ გვარს კეთილს ყოფაში ყოფილა, რომელიც არას დროს არა ჰქონიხებია მთელს მის არსებობის განმავლობაში.

შემდეგ ლიმანსკი სხვა ქვეყნებზე ლაპარაკობს და საფრანგეთზე ამბობს, რომ იქ ხალხის გამრავლება სრულიად შეჩერდა. უკანასკნელს 10 წელიწადში მხოლოდ ერთი მილიონი მოემატა, მაგრამ ამათშიც $^2/_3$ სულ უცხოელები არიან. ამ გარემოების შესახებ გაცხარებული სჯა—ბაასია როგორც საფრანგეთის სახელმწიფო დაწესებულებებში, ისე მწერლობასა და კერძო საზოგადოებებშიაც. ეს კიდევ რა: წარსულს წელს საფრანგეთის მთავრობამ, წახალისების გულისთვის, დაადგინა, რომ 7 სულის ოჯახის პატრონს ზოგიერთი ხარჯი აღარ გადაეხდება. ამავე აზრით შემოღებულ იქმნა საფრანგეთში ბევრი სხვა კანონიც, მაგალითად, რომ, ვინც ან 10 წელიწადი სცხოვრობს საფრანგეთში და ან რაიმე თანამდებობაზე სდგას სხვა-და-სხვა საქმეში, კალდებულია საფრანგეთის ქვეშევრდომობა მიიღოს. ყოველს გვარს მრეწველობას საფრანგეთში მთავრობის მიერ მფარველობა სჭირდება. მფარველობას ითხოვენ მეურნეებიც, მრეწველებიც, სხვანიც და მთავრობა ჰპირდება, შეგისრულებთ თხოვნას, მხოლოდ გვადროვეთ, რომ ეხლანდელს სავაჭრო ხელშეკრულობას სხვა სახელმწიფოებთან ვადა გაუვიდესო. სახელმწიფო ვალს საფრანგეთისას ამ ათის წლის განმავლობაში, 5,085 მილიონი ფრანკი კიდევ მოემატა. უცხო ქვეყნებთან ვაჭრობამ ცოტა არ იყოს იმატა 1889 წელს გამოფენის გამართვის გამო, მაგრამ იმ ვაჭრობასთან შედარებით, რაც ამ 12 წლის წინად ჰქონდათ, ეხლანდელმა ვაჭრობამ 80 მილიონ მანეთით უკან დაიწია.

გერმანიაში 1879—1887 წლის ვაჭრობამ 140—157 მილ. მან. იმატა, მაგრამ მას აქეთ კი ისევ უკან-უკან მიდის, რაიცა უფრო საგულისხმიერო უნდა იყოს, თუ მხედველობაში მივიღებთ ინგლისის ვაჭრობის გაძლიერებას. 1890 წლის ვაჭრობა გერმანიისა ნაკლები იყო 1889 წლისაზე, თუმცა მაკ-კინლის ბილის გამო გერმანელმა ვაჭრებმა დააშურეს კიდეც სავაჭრო საქონლის გაგზავნა ამერიკაში. გერმანელი ქარხნის მუშები, თუმცა მეტს ხანსა მუშაობენ ყოველ დღე, მაგრამ აქ გაცილებით ნაკლებს ფასსკი იღებენ, არამც თუ ინგლისელს მუშებთან შედარებით, არამედ საფრანგეთის მუშებთან შედარებითაც-კი.

ამაზე არა ნაკლები ცუდი შედეგი მოჰყვა ვაჭრობის მფარველობას ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულს შტატებშიც. მეურნეობა ამ უკანასკნელს დროს იქ დიდს გაჭირებაშია. მოსავლის ფასი თანდათან კლებულობს, აღმოსავლეთის შტატებში მამული მოუვლელი რჩება, „homstead“-ებს დიდი ვალები აწევს და ხალხმაც გადმოსახლება დაიწყო. რაც შეეხება ქარხნების მუშა ხალხს ამერიკისას, ისიც თან და თან საშინლად ღარიბდება, განსაკუთრებით ქალაქ ადგილებში“.

ლიმანსკის ამ გვარის აზრის შესახებ თავისუფალსა და მფარველობიანს ვაჭრობაზე „Рус. Вѣд.“ ამბობს.

„ლიმანსკის მიერ მოყვანილი საბუთები ნათლად გვიხატავს განათლებულ სახელმწიფოების ეკონომიურს მდგომარეობას, მაგრამ თვით ლიმანსკის-კი იგივე შეცდომა მოსდის, რაშიაც სხვებს ამტყუნებს. გერმანიისა და შეერთებულ შტატების შესახებ მოყვანილი ცნობები ძლიერი გამამტყუნებელი საბუთებია იმ აზრის მიმდევართა, რომ ვაჭრობის მფარველობა ქვეყნისთვის საკეთილდღე-

---

უმანკოება წამართვი და ეხლა აღარ გინდივარ! ვინ იცის, რომ მარტო მე ვარ მსხვერპლი შენის ცბიერობისა და გაქნილობისა! ოჰ, შე ავაზაკო შენა! შენ არ ამბობდი, რომ ჩვენ ერთმანეთისათვის ვართ გაჩენილიო! შენ არ მარწმუნებდი, რომ უშენოდ ჩემი სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადიქცევაო! ოოჰ, მართლა ჯოჯოხეთო! შენ არ მპირდებოდი, მოვეწყობი, მოვსახლ-კარდები და ჯვარს დავიწერთ, ერთად ვიცხოვრებთ, ერთს ჰერს ქვეშ და ერთად დავიხოცებითო, და მანამ-კი, რა წინაალმდეგია, რომ ჩვენ ერთმანეთს გული გავუხსნათ და სული სულს შევუკავშიროთო! ოჰ, მე უბედური! მეც დაგიჯერე. რა ვიცოდი, თუ შენი გული უწმინდურებისა და გარყვნილების მორევი იყო! რა ვიცოდი, თუ შენში სულიერისა და ღვთიურის ცეცხლის ნაპერწკალი გამქრალი იყო და მხოლოდ ხორციელი, პირუტყვული ანგარიშები გათქმევინებდა ასეთს მომხიბლავს და მომნადირებელს სიტყვებს!.. როცა ჩვენი ერთმანეთთან დამოკიდებულების ნიშანი გამოჩნდა და გამოაშკარავდა, როცა ფეხ-მძიმეობა შევატყე თავს, გამოვუცხადე, რომ ეხლა ნუღარ ვგვიანობთ, საქმე დავაჩქაროთმეთქი... ოჰ, წარმოსადგენადაც ძნელია, რა საზარელი, რა საშინელი სიტყვები გავიგონე მაშინ მე იმისგან! რითი დავრწმუნდე, რომ ჩემს გარდა სხვასთანაც არა გქონია მაგვარივე კავშირიო. ეს მითხრა და გამშორდა. გამშორდა ისე მედიდურად და ამაყად თითქოს მე და ის ერთმანეთთან ბრძოლაში ვფოფილვიყავით და გამარჯვება მას დარჩენოდეს. მის სახეს მხოლოდ მაშინ ავხადა ფარდა. მე კარგად შევამჩნიე, რომ ის იმ დროს მხოლოდ დამცინოდა და არავითარს სიბრალულს არა გრძნობდა ჩემდამი, რომელმაც მას შევწირე ყოველივე ის, რითაც თავ მოწონება და ამაყობა შემეძლო. მე მხოლოდ ეხლა დავრწმუნდი, რომ მე და იმის შორის მართლა, რომ ბრძოლა მომხდარა და ამ ბრძოლაში იმას გაუმარჯვნია და მე დავმარცხებულვარ. დიახ, ჩემი გულ-უბრყვილობა და ნდობა დაამარცხა და გაანადგურა იმისმა გაქნილობამ და მზაკვარობამ. მე ვალდებული ვარ, რომ სანამ თავის თავს გადავახდევინებდე სასჯელს საკუთარ შეცდომათა და დანაშაულთაგამო, იმას მოუღო ბოლო, იმას, ჩემს ცოცხლად დამმარხველს. მაგრამ როგორ შემიძლია მე ეს მოვახერხო, როდესაც ის იმ დღეს შემდეგ ამ სოფლიდამ გაპარულა, შეიძლება, ახალის მსხვერპლის საძებრად. მაშ დამრჩენია მხოლოდ ჩემს თავს მოველაპარაკო. მოველაპარაკო!? რის შესახებ მოველაპარაკო? ხომ ცხადია, რომ საქაოს წილი აღარაფერში მიდევს! სახელ-გატეხილი, ნამუს დამხობილი, მანდილ-მოხდილი და შერცხვენილი, ყველასაგან ყბად აღებული, ყველასაგან გაკიცხული და მოძაგებული რისთვის და ვისთვის ღა ვარ საჭირო ამ ქვეყნად! არავისთვის. მე სულიერად უკვე მკვდარი ვარ, სულიერი კავშირი ჩემი უკვე შეწყდარია ამ ქვეყანასთან, ეხლა მხოლოდ დამრჩენია, რომ ხორციელ არსებობასაც ჩემისვე ხელით მოუღო ბოლო და მე ამისათვის უკვე მზადა ვარ. ამაღამდელი საშინალი დარი, რისხვა და გრგვინვა ცისა, ზარი და ზათქი დედამიწისა თითქოს ამასვე მეუბნება. მაშ დროა მოვრჩე და გავათავო. შეიძლება ჩემს შემდეგ ცაც დამშვიდდეს, დედამიწაც დაწყნარდეს და ხვალ მზის ცხოველს მყოფელმა შუქმა გაახარწყინვოს ქვეყანა. მე აღარა ვარ მზის სინათლის ღირსი და არც მინდა ვუცქირო. მშობელთა მიერ დაწყევლილი, ნათესავთაგან შეჩვენებული და საკუთარის სინიდისის წინაშე წამებული და გვემული ვეთხოვები ამ ქვეყანას და თან ვსწყევლი, რომ ამ დანაშაულში საკუთრად მე მომახვია თავს პასუხის-გება და საკუთრად მე გამხადა ბრალდებული, მაშინ როდესაც მონაწილე მყავდა... მაგრამ ეხლა ყოველივე გათავებულია, უნდა მოვკდე. ეს-კი არ არის სამწუხარო, რომ უნდა მოვკდე, არამედ ის, რომ ამ ქვეყნად ერთი გულ-შემატკივარი არ მრჩება. ყველა ამას იტყვის: „მაშ რაღა პირითა და ნამუსით აპირებდა ქვეყანაზედ ცხოვრებასაო“.

ყოველმავე ამან ელვის სისწრაფით გაურბინა თავში ახალგაზდა ქალს. ის უცებ შეჩერდა შუა ოთახში, ამოიღო ჯიბიდამ სამართებელი და გადილადრა ყელი. სისხლის დაცლის გამო მუხლებმა უსუსტა, თვალები დაუბნელდა და იატაკზე დაეცა. ამ ხმაურობაზედ იმავე ოთახში მძინარე იმისს უმცროსს დას გამოეღვიძა და რა ნახა, რომ ყელ-გამოჭრილი ლიზა სისხლში ცურავდა, კივილ-წივილი მორთო. მალე მთელი ოჯახობა ფეხზე დადგა და შეიქმნა ერთი ტირილყვირილი, თავში ცემა, თმა-წვერის გლეჯა და ალიაქოთი. დილა ადრიან მეზობლებიც დაიძრნენ და ჩვეულებრივის ტირილით მიუსამძიმრეს ლიზას დედ-მამას ეს უბედურება და დასაკლისი, თუმცა-კი ყველა იმ აზრისა იყო, რომ ლიზა მოკვდა-კი არა, მორჩა; მისი ტირილი-კი არა, ქორწილი იყო იმ დღეს.

დათიკო ვერმიცანაშვილი

რა და უებარი წამალი საზოგადოების დაქვეითებისა და სხვა-და-სხვა ეკონომიურ აწეწილ-დაწეწილობისა. ლიმანსკი კარგად ასაბუთებს და ამტკიცებს, რომ ვაჭრობის მფარველობაზე დამყარებული იმედები ქვეყნის კეთილდღეობისა გაცრუვდა და არ გამართლდა, რომ გერმანია და შეერთებული შტატები, სადაც ამ ორს წელიწადში დიდს მფარველობას უწევდნენ ვაჭრობას, კეთილდღეობის მაგიერ უკან უკან მიდიან და ეცემიან. კითხვა არ უნდა ეს ასე არ მოხდებოდა, თუ ვაჭრობის მფარველობას მალა ჰქონოდა და შესძლებოდა რამე.

ეს ასეა, მაგრამ თვით ბ-ნს ლიმანსკის იგივე შეცდომა მოსდის, რაზედაც თითონ სხვებს უთითებს. თუ სხვებს ვაჭრობის მფარველობა მიაჩნიათ ქვეყნის კეთილდღეობის უებარ წამლად, ბ-ნს ლიმანსკისაც ამ გვარ ღონისძიებად თავისუფალი ვაჭრობა მიაჩნია. თუ მფარველობა—ეს მძიმე ტვირთი ეხლანდელის ვაჭრობისა მოსპობილ იქმნა, მაშინ უფრო სწორის გზით წავა ქვეყნის კეთილდღეობის საქმე, თავისუფლება უფრო მეტს ღონეს გამოიწვევს სამუშაოდ, სალეკელი გაიაფდება. მაგრამ ქვეყნის კეთილდღეობა მარტო თავისუფალსა და მფარველობიანს ვაჭრობაზე არ არის დამოკიდებული. არის ისეთი საგნებიც, რომელზედაც ვაჭრობას გავლენა არა აქვს. დამნაშავეთა რიცხვის შემცირება ინგლისში ყოვლად შეუძლებელია მარტო ამ გარემოებით აიხსნას. მეორეც, ყველა ის, რასაც ლიმანსკი ასახელებს, ქვეყნის კეთილ-დღეობის ნიშნად არ ჩაითვლება. თუმცა, როგორც ლიმანსკი გვიჩვენებს, ინგლისის ბანკებში დიდძალი ფულია შეტანილი, მაგრამ ყველამ იცის, რომ მუშათა მდგომარეობა ინგლისში მლიერ არა სასიამოვნო ყოფაშია. თითქმის ყველგან მუშები მარტო იმდენს იღებენ, რომ დღიურად იოლად როგორმე წავიდნენ და შიმშილისაგან არ დაიხოცნენ, სოფლებშიც, თუმცა ლიმანსკი ამტკიცებს ინგლისში მეურნეობა გაუკეთესდაო, მუშის დღიური ფასი ისე შემცირდა, რომ აყარებული ხალხი მიაწყდა ქალაქებს და ამის გამო იმათ მოძმე ქარხნების მუშებსაც ზარალი მიეცათ.

„ამ გვარი ამბავი იმ სახელმწიფოებშიაც არის, სადაც თავისუფალი ვაჭრობაა და იქაც, სადაც ვაჭრობას მფარველობას უწევენ. ცხადია, რომ არც მხოლოდ თავისუფალს ვაჭრობას და არც მფარველობიანს არ შეუძლიან ქვეყნის კეთილდღეობა და ბევრიც სხვა გარემოება და ღონისძიებაა იმისთვის საჭირო.“

## დეპეშები

13 დეკემბერი

პეტერბურგი „Journal de St.-Pétersbourg“-ი უარ-ჰყოფს იმ ამბავს, ვითომ რუსებს ნება აქვთ მიცემული ჩინეთის პროვინციას ჩენსიში თავისი საქონელი შეიტანონ და აგრეთვე ვითომ რუსეთის საელჩოების დაწესება უნდოდეთ ლანჩე-უ-ფუსა და სინგნან-ფუს.

ფინლიანდიის ყველა რკინის გზაზედ ამიერიდგან მიიღებენ რუსეთის ფულს. ამას გარდა განკარგულებაა მოხდენილი, რომ ამ რკინის გზების მოხელეებმა რუსული ენა ისწავლონ.

მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა იმის პროექტი, რომ დაარსებულ იქმნას ერთი, ან ორი საკომერციო ინსტიტუტი, რომელშიაც მასწავლებლები უნდა მზადდებოდნენ საშუალო საკომერციო სასწავლებელთათვის და აგრეთვე სავაჭრო აგენტები. განზრახვა აქვთ, ამას გარდა, დააარსონ რამდენიმე საკომერციო სასწავლებელი ნოქრებისა, დახლიდრებისა და სხვა ამ გვარ აგენტების მოსამზადებლად. ამ საქმის სისრულეში მოყვანას რამდენიმე წელიწადი დასჭირდება. იმედი აქვთ, რომ უმაღლესი საკომერციო ინსტიტუტიც იქმნება დაარსებული ოდესაშიო.“

სტამბოლი. პორტასა და მსოფლიო პატრიარქს შორის კვლავ გამწვავდა საქმე. საპატრიარქო უარს ამბობს, ეკკლესიების კარებს არ გაუღებთ იმ დრომდე, ვიდრე პორტა არ გამოაცხადებს, რომ ბერძენ ქრისტიანეთა ანდერძის წერილებთან მაჰმადიანთა სასამართლოს საქმე არა ექმნება-რაო.

14 დეკემბერი

პეტერბურგი. რომ უფრო ადვილად გაიგზავნოს ხოლმე ფოსტით იმ გვარი დაზღვეული და უბრალო წერილები, ფასიანი პაკეტი და ბანდეროლ შეკრული წიგნები, რომლის ფასიც მიმღებმა უნდა გარდაიხადოს, 1 იანვრიდგან დაკანონდება, რომ მიმღებთაგან უდიდესი გადასახდელ ფასად ეხლანდელის 100 მანათის მაგიერ მიღებული იყოს 200 მანათი.

„Новости“-ს გაუგონია, რომ გიმნაზიების ეგზამენებში ცვლილებათა შემოღების საქმეს წლეულსვე გარდასწყვეტს განსაკუთრებული კომისია საერო განათლების მინისტრის თანაშემწეს თავმჯდომარეობით და მის მიერ შემოღებულის წესით ამ სასწავლო წლის ეგზამენებზედაც უნდა იხელმძღვანელონო.

ბომბეი. მემკვიდრე ცესარევიჩი ერთის დღით მეტი დარჩა ბომბეიში და ნანდგაიაში მიემგზავრება. ესკადრა აქ სამი კვირა გაჩერდება, შემდეგ წავა კოლომბოს და იქ მოუცდის მემკვიდრე ცესარევიჩის მობრძანებას. ნანდგაონიდგან მემკვიდრე ცესარევიჩი წაბრძანდება ელლორის გამოქვაბულებისას სანახავად და აგრეთვე დიდის მოგოლის საფლავისა აურუნგცებში.

პეტერბურგის ბირჟა, 11 დეკემბერი.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გარიგებანი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7 | „ | 7 | 03 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 14½ | | 141 | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 | 07 | 1 | 10 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | „ | — | „ | 239 | |
| —მეორისა . . . . | — | „ | — | „ | 218½ | |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | — | „ | — | „ | 211¾ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — | „ | — | „ | — | |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსია უქლე გაკავკასიიხა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდგან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მიბაძვა ქრისტესი წიგნი III—IV ყდით . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 25 |
| საგულისხმიერო აზრები ვეფხვის ტყაოსნიდამ. . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ხრონიკა ე. თაყაიშვილისა. . . | 1 | „ |
| თხზულებანი რ. ერისთავისა II ნაწ . . . . | „ | 40 |
| კედლის კალენდარი 1891 წლისა . . . . . | „ | 40 |
| ქართული წერის დედანი და ხატვის ნიმუშები ს. დათეშიძისა . . . . | „ | 25 |
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ. . . | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოსობი, დ. დათოშვილისა . . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—ლიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხ მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . . | „ | 40 |

---

## ჩემი სახარჯით

ვკისრულობ საქმეებს მამულების დაგირავებისას ყოველსავე ბანკში და აგრეთვე ახლად დაარსებულს სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში. მსურველებს შეუძლიანთ მომმართონ ბარონის ქუჩაზე, მესხიევის ლიტოგრაფიაში, **პეტრე სვიმონის ძე გვერწითელს** და ალექს. სერგეის ძე პოლეტაევს.

(5—1)

---

ამხანაგობა სარპინკის კეთების მრეწველთა
სარატოვში.
1891 წლის სეზონი.
გვაქვს ახლად-ახალი, მშვენიერი სახიანი ნაქსოვი,
ესრედ წოდებული
**ს ა რ პ ი ნ კ ა,**
ვყიდით ნარდად და წვრილ-წვრილადაც რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნით.
სარპინკას ნიმუშებს დავუგზავნით 15 ნოემბრიდგან ყველას, ვინც 42 კაპეიკს გამოგვიგზავნის ალბომისას.
ფასები და პირობანი ალბომშია მოხსენებული. მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ შეიძლება.

10—4

---

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

გამოვა 1891 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც ამ წელს. ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება.

1) ტ ფ ი ლ ი ს შ ი—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)

2) ქ უ თ ა ი ს შ ი—ევ. ნიკოლაძისას.

3) გ ო რ შ ი—ევ. ფურცელაძისას.

4) ბ ა თ უ მ შ ი—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*

(5—5) რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ.—კ. | | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ , რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დკან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. цен. Тифлисъ, 14-го Декабря 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С.А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. у. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე